




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 56

2016 წლის 23 ივნისი

ხაშური




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის #141 განკარგულებაში  
„ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის  
დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის 2016 წლის 14 ივნისის №2400/09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ადგილობრივი ისტორიულ-კულტურული კერების უკეთ წარმოჩენის მიზნით, რათა მუზეუმებმა შეძლონ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოსული ტურისტებისათვის მეტად ხელმისაწვდომი გახდეს მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიულ-კულტურული კერების ადგილმდებარეობის დადგენა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუზეუმების განვითარების პროგრამას დაემატოს წიგნის „ხაშურის გზამკვლევის“ გამოცემის ხარჯები, რის გამოც საჭიროა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის № 141 განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №141 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში“, პროგრამის ბიუჯეტს დაემატოს 4000 ლარი, საერთო ბიუჯეტი ნაცვალად 156 000 ლარისა განისაზღვროს 160 000 ლარით და დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართ №1-ით (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

**მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის მოქმედების სფერო ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის შემდეგ ობიექტებზე: ქ. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დაბა სურამის ლესია უკრაინკას სახლმუზეუმი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმი.

**პროგრამის მიზანი**

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება.

**პროგრამის ძირითადი მიმართულებები**

- კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;
- საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე ცალკეული მხარის, კერძოდ შიდა ქართლის მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და დაცვა;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია;
- მუზეუმების ფონდების ყოველწლიური აღრიცხვა და სისტემატიზაცია;
- სამუზეუმო ექსპოზიციებისა და მუზეუმის ფონდების ბაზაზე მასობრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;
- სამუზეუმო კატალოგების, ბიბლიოგრაფიების, სამეცნიერო-კვლევითი მასალების შედგენა და პუბლიკაცია;

**პროგრამის ბიუჯეტი**

განისაზღვროს მუზეუმების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 160 000 ლარის ოდენობით:

სულ სუბსიდიის ოდენობა	160 000
მათ შორის შრომის ანაზღაურება	117 444

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

აღრიცხული და უკეთ დაცული სამუზეუმო ფონდები.

დამთვალეირებელთა რაოდენობის ზრდა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება.

მუზეუმის საქმიანობით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

შეფასების ინდიკატორი:

მუზეუმში დაცული ექსპონატების დამთვალეირებელთა რაოდენობა;

ორგანიზებულად განხორციელებული პროექტების და მათში მონაწილეთა რაოდენობა.